ბიბლიოთეკის მუშაობის გაუმჯობესება ქ.რუსთავის N16 საჯარო სკოლაში

ირმა შუბლაძე, მარი საათაშვილი, მაგდა ლაგაზაური

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია ბიწაძე, განათლების დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია ქ.რუსთავის N16 საჯარო სკოლაში ბიბლიოთეკის მუშაობის გაუმჯობესების საშუალებების კვლევა, მათი პრაქტიკაში გამოყენება და ბიბლიოთეკის მუშაობის გაუმჯობესების მიღწევა.

თანამედროვე სკოლაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მოსწავლეები დღეს თითქმის აღარ დადიან ბიბლიოთეკაში და არ კითხულობენ წიგნებს. საერთაშორისო კვლევების მიხედვითაც წიგნიერების დონე საქართველოში ძლიერ დაბალია. ეს პრობლემა მწვავედ დგას ქართულ რეალობაში და მისი აღმოფხვრა კი თავისთავად გულისხმობს ბავშვებში წიგნიერების დონის ამაღლებას.

კვლევის დროს გამოყენებული იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები. რაოდენობრივი კვლევისას - გამოყენებულ იქნა კითხვარი, რომელიც 143-მა მოსწავლემ შეავსო. თვისებრივი მეთოდის დროს კი გამოყენებულ იქნა შემდეგი ინსტრუმენტები: ფოკუს-ჯგუფი, ინტერვიუ, გასაუბრება და დაკვირვება. ამ პროცესში მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს მასწავლებლებმა და ბიბლიოთეკარმა.

კვლევის შედეგად დადგინდა ფაქტორები, რომელთა გათვალისწინებისას მოსწავლეები უფრო ხშირად გამოიყენებენ ბიბლიოთეკის მომსახურებას:

- გაიზრდება წიგნების რაოდენობა/მრავალფეროვნება და იქნება სხვადასხვა ჟანრის საინტერესო წიგნები;
- ბიბლიოთეკაში იქნება ელ.წიგნები და შესაბამისად კომპიუტერები;
- შეიქმნება ბიბლიოთეკის კლუბი, რომელიც სხვადასხვა ღონისძიებას დაგეგმავს და გამოაცოცხლებს ბიბლიოთეკის მუშაობას;
- გაიზრდება ბიბლიოთეკის სივრცე, დაიდგმება მაგიდები და სკამები და იქვე შეძლებენ მეცადინეობას.

კვლევის პროცესში დაიგეგმა და განხორციელდა რამდენიმე ინტერვენცია. ჩატარდა განხორციელებული ინტერვენციების შედეგების კვლევაც.

მიღებული შედეგები გამოსადეგი იქნება არა მხოლოდ კონკრეტულად ამ სკოლისათვის, არამედ ყველა სხვა სკოლისათვის, სადაც ბიბლიოთეკის მუშაობის გაუმჯობესება მნიშვნელოვანია. იმ შემთხვევაში თუ, სხვა სკოლებიც განახორციელებენ მსგავსი ტიპის ინტერვენციებს საკუთარ სკოლებში, ბავშვებს გაუჩენენ ინტერესს და სურვილს, რომ იარონ ბიბლიოთეკაში და გაეცნონ საბიბლიოთეკო მასალას, რაც თავისთავად გამოაცოცხლებს ბიბლიოთეკის მუშაობას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ბიბლიოთეკა, მოტივაციის ზრდა, სკოლის კლუბი, ღონისძიება, წიგნიერება, მოსწავლე.